MES 7 22 0000378488

12/04/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.03.20222
სხდომის დაწყების დრო: 14:21 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:20 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
10. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. მაია ბიწკინაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
2. მარინე გელანტია - შპს „აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
3. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
4. თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
5. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
6. დავით თათოშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;
დავით კობეშავიძე - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;
7. ბიძინა კულუმბეგოვი - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
8. ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
9. ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

10. ნათია სხვიტარიძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
11. ნინო შარიქაძე - შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
12. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
13. შორენა წიკლაური - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
14. გივი ჯავაშვილი - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნიკოლოზ ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	**ქეთევან ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**თორნიკე ბაქაქური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	**ლაშა მაჭარაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
6	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
7	**ნინო ალავიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
8	**ნინო შიოშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
9	**შოთა კეჟერაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
10	**ნინო სარჯველაძე**	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
11	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
12	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
13	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
14	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
15	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
16	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	კახა შენგელია	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის პრეზიდენტი	**I**
2	ნუგზარ სხირტლაძე		უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	**I**
3	ბორის ლეჟავა		უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	**I**
4	დიანა მჭედლიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	**I**
5	გიორგი მახარაშვილი		მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანი	**I**
6	ზვიად კირტავა		„მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**I**

7	ნინო ჩალაბაშვილი		პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი	**I**
8	დავით კერესელიძე	**ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი	**II**
9	ეკატერინე აზარაშვილი		უნივერსიტეტის კანცლერი	**II**
10	ნადეჟდა ჯაფარიძე		„სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	**II**
11	ეკატერინე ბაკარაძე		უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის აღმასრულებელი მენეჯერი, ასოცირებული პროფესორი	**II**
12	მირზა ხინიკაძე		მედიცინის სკოლის დეკანი	**II**
13	ხათუნა საგანელიძე		მედიცინის სკოლის ხარისხის კომიტეტის წარმომადგენელი, პროფესორი	**II**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	მიჰაი ბოროში (Mihaly Boros)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარინე თოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მაგდა ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	II

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:21 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).

1. პირველი საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30.03.2018 გადაწყვეტილება №46
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360

14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქ. №1, ქ. თბილისი, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - გურანდა ჭელიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მეოთხე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 3-4 თებერვალს ჰიბრიდული ფორმით, კორონა ვირუსით გამოწვეული შეზღუდვების გამო. 2022 წლის 3 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი აკადემიურ საკითხებში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, მედიცინის სკოლის დეკანი და საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტის დირექტორი. ჯგუფს ჰქონდა მოკლე ტური დაწესებულების, სალექციო ოთახებისა და აუდიტორიის, სტუდენტური ლაბორატორიის, ბიბლიოთეკის, უნარების ლაბორატორიის (სიმულაციური ცენტრის), სადაც OSCE სტენდებია და მთავარი შენობის სხვა შესაბამისი ნაწილების მოსანახულებლად. შემდეგ, ჯგუფმა მოინახულა ორი სასწავლო ბაზა, რეიმანისა და თოდუას კლინიკები, ხოლო 2022 წლის 4 თებერვალს, მთელი დღის განმავლობაში ჰქონდათ ონლაინ შეხვედრა დაწესებულების თანამშრომლებთან „Zoom-ის“ პლატფორმის მეშვეობით. საბოლოოდ, მოეწყო ბოლო შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან ძირითადი დასკვნების წარმოსაჩენად, და მოკლედ იქნა განხილული მიღებული შედეგები.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.1:
• უსდ-ს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევებს შორის. საჭიროა გეგმების დასახვა სამეცნიერო სტრატეგიის ფარგლებში. ამ კუთხით, საჭიროა სამეცნიერო/კვლევითი სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად შეეხება მედიცინის სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების გეგმებს;
კომპონენტი 2.2:
• რეკომენდებულია საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანების მიხედვით დამატებითი კრედიტების რაოდენობის მიღების საკითხის დაზუსტება, ამ ბრძანების საფუძველზე დამატებითი კრედიტების (15 კრ.) მიღება დასაშვებია პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში (6 წელში);
კომპონენტი 2.3:
• რეკომენდებულია სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა სასწავლო კურსებში და კომპეტენციების რუკაში;
• საჭიროა კომპეტენციების რუკის კურსის/მოდულის სილაბუსებთან შესაბამისობაში მოყვანა;
• საჭიროა 2002, 2005, 2006, 2008 წლებში გამოცემული სავალდებულო ლიტერატურის განახლება;
• კომპეტენციის რუკა (დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სტუდენტების წინსვლას;
კომპონენტი 2.4:
• უნდა განისაზღვროს მე-12 სემესტრში საკურსო მუშაობაში ჩართული მენტორების და სტუდენტების პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობის წესები, შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად;
კომპონენტი 2.6:
• ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისა და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება სწავლის შედეგების/კომპეტენციების შეფასებისთვის კლინიკურ საგნებში;
• რეკომენდებულია ყველა სწავლის შედეგის და კომპეტენციის შეფასება სასწავლო კურსებში;
კომპონენტი 4.1:
• მკაფიოდ განისაზღვროს კლინიკური ხელმძღვანელების როლი და ადგილი პროგრამაში მათი ფუნქციების ჩათვლით. კლინიკური მენტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დარგობრივი მახასიათებლებით; შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს;
კომპონენტი 4.2:

• სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყველა წევრის სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისთვის რეკომენდებულია აკადემიური მრჩეველთა საბჭოს ან მსგავსი ორგანოს შექმნა მედიცინის სკოლის პრიორიტეტულ კვლევით თემებზე მუშაობის გაძლიერების მიზნით;

კომპონენტი 4.3:

• რეკომენდებულია განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორია სტუდენტების შესაბამისი რაოდენობის პრაქტიკის და სწავლების მიზნით;

• სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა, რეკომენდებული ტომები (ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსიები) უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განახლებული. პროგრამა არის ახალი; ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უახლესი გამოცემები იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი რაოდენობით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მიჰაი ბოროშის მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწერილი დასკვნა არის ფაქტებზე დამყარებული, შეფასების პროცესი წარიმართა ჰიბრიდულ რეჟიმში, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დოკუმენტაცია, რაც დასჭირდათ უნივერსიტეტისგან, შემდეგ კი გაანალიზებული ინფორმაციისა და გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დაწერეს დასკვნა. მათ ასევე მიიღეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა იმსჯელეს ჯგუფში და არგუმენტირებული პოზიცია არ მიიჩნიეს ფაქტებზე დამყარებული. შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილებაში ფაქტობრივად არაფერი შეცვალეს. მას სურდა განეხილა ორი რეკომენდაცია, ერთ-ერთი მათგანი გაცემული იყო კომპონენტი 1.1-ში (უსდ-ს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევებს შორის. საჭიროა გეგმების დასახვა სამეცნიერო სტრატეგიის ფარგლებში. ამ კუთხით, საჭიროა სამეცნიერო/კვლევითი სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად შეეხება მედიცინის სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების გეგმებს). ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ დაწესებულებას აქვს აღნიშნული სტრატეგია, თუმცა ეს არის უფრო ძლიერი საფუძველი, ბევრი სხვა დისციპლინის მიმართ და არ იკვეთება სამედიცინო მიმართულებით კვლევა, თუმცა სწორედ სამედიცინო მიმართულების გაძლიერება არის აუცილებელი კვლევის სტრატეგიაში. მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია უკავშირდებოდა ინფრასტრუქტურის განახლებას, რომელსაც დაწესებულება იყენებს სწავლა-სწავლების მეთოდების განხორციელებისას. ასევე სამედიცინო უნარების ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებდა ბაზისურ მოთხოვნებს, მაგრამ ბევრად მეტია აღნიშნული პროგრამისთვის საჭირო და, სასურველია, მისი განახლება, სწორედ ამის გამოძახილია რამდენიმე რეკომენდაცია, თუნდაც ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული (სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა, რეკომენდებული სახელმძღვანელოები (ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსიები) უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განახლებული. პროგრამა არის ახალი; ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უახლესი გამოცემები იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი რაოდენობით). ექსპერტთა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ განათლების ხარისხი აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით საკმაოდ მაღალია, მისი მოსაზრებით გამოკვეთილ ხარვეზებს აუცილებლად გაითვალისწინებს დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა უცხოელ ექსპერტს პროგრამულ აკრედიტაციაში შეტანილი წვლილისთვის. რეკომენდაციების შესახებ მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ აღნიშული რეკომენდაციები უფრო მეტად დაწესებულების განვითარებისთვის გამოთქმული რჩევები იყო, მაშინ, როდესაც დაწესებულებამ ცოტახნის წინ გაიარა ავტორიზაცია, საკმაოდ წარმატებით და კვლავ წარმოდგენილია ამ ტიპის რეკომენდაციები, დაინტერესდა თუ რამ განაპირობა განმავითარებელი შეფასების კუთხით ასეთი შინაარსის რეკომენდაციების გაცემა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, მეშვიდე რეკომენდაციის (უნდა განისაზღვროს მე-12 სემესტრში საკურსო მუშაობაში ჩართული მენტორების და სტუდენტების პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობის წესები, შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად) შესახებ განაცხადა, რომ ზუსტად იგივეა მეხუთე რჩევა, რაც მან

გადაამოწმა ინგლისურ ვერსიაშიც, რადგან თარგმანის ხარვეზი ეგონა, თუმცა იქაც ასეა იყო წარმოდგენილი, დაინტერესდა რეკომენდაციად უნდა იყოს აღნიშნული გაწერილი თუ რჩევად.
OSCE-ს (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) შესახებ მან განაცხადა, რომ როგორც ცნობილია მედიცინის პროგრამის კომპონენტების შეფასებისთვის ყველაზე მეტად გამართული და მნიშვნელოვანი შეფასების ტიპია, მან შეისწავლა პროგრამა/სილაბუსები, OSCE საკმაოდ ხშირია პროგრამებში, როგორც შეფასების მეთოდი, აღნიშნულ პროგრამაში სწავლის 14 შედეგიდან 8 შედეგი ფასდება OSCE-ით, ან დამოუკიდებლად, ან ინტეგრირებული სხვა შეფასების მეთოდთან ერთად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ თვლიდნენ, რომ არ იყო საკმარისი.
მეათე რეკომენდაციის (სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყველა წევრის სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისთვის რეკომენდებულია აკადემიური მრჩეველთა საბჭოს ან მსგავსი ორგანოს შექმნა. მედიცინის სკოლის პრიორიტეტულ კვლევით თემებზე მუშაობის გაძლიერების მიზნით) შესახებ, მან განაცხადა, რომ აღნიშნული უფრო მეტად რჩევა უნდა იყოს, რადგანაც უნივერსიტეტს აქვს აკადემიური თავისუფლება, რომ შეარჩიოს თუ როგორ განავითარებს აღნიშნულ მიმართულებას.
საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რესურსების შესახებ დაინტერესდა თუ რა გააკეთა/აკეთებს უნივერსიტეტი. მისი ინფორმაციით პროგრამას პირველი მიღება ჰქონდა 2020 წელს, ეს პერიოდი დაემთხვა პანდემიას და როდესაც სრულად გადავიდნენ ადგილზე სწავლებაზე, დაინტერესდა ონლაინ რეჟიმიდან ადგილზე სწავლების რეჟიმთან დაკავშირებით დაწესებულების სტრატეგიით და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რომელი კლინიკური ბაზები გამოიყენებოდა და რამდენად იყო აფილირებული აღნიშნულ უნივერსიტეტთან.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ არ იყო დარგის სპეციალისტი და შეეხებოდა მხოლოდ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ზოგადია და აკრედიტაციის კუთხით არის წარმოდგენილი, კერძოდ, პირველი რეკომენდაციის (უსდ-ს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევებს შორის. საჭიროა გეგმების დასახვა სამეცნიერო სტრატეგიის ფარგლებში. ამ კუთხით, საჭიროა სამეცნიერო/კვლევითი სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად შეეხება მედიცინის სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების გეგმებს) შესახებ განაცხადა, რომ ეს არის ინსტიტუციის მუდმივი ზრუნვის საგანი და ალბათ პირველ რიგში, თუ აღნიშნული რეკომენდაცია დარჩებოდა, უნდა ყოფილიყო კომპონენტი 4.2-ში, გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი ისეთი რეკომენდაციაა, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული. თუ ამჟამად პროგრამა აკმაყოფილებს ამ სტანდარტს, გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის მქონე პერსონალი, აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია გადაკვალიფიცირდეს რჩევად.
კომპონენტი 2.2-ში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანების მიხედვით დამატებითი კრედიტების რაოდენობის მიღების საკითხის დაზუსტება, ამ ბრძანების საფუძველზე დამატებითი კრედიტების (15 კრ.) მიღება დასაშვებია პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში (6 წელში)) შესახებ მან განაცხადა, რომ პროგრამის პირველივე გვერდზე არის აღნიშნული ჩანაწერი, რომელიც დაახლოებით აღნიშნულ ბრძანებას ეხმიანება და მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ რეკომენდაციის გაჩენის საფუძველი.
კომპონენტი 2.3-ში გაცემულ 3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით (რეკომენდებულია სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა სასწავლო კურსებში და კომპეტენციების რუკაში; საჭიროა კომპეტენციების რუკის კურსის/მოდულის სილაბუსებთან შესაბამისობაში მოყვანა; კომპეტენციის რუკა (დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სტუდენტების წინსვლას;) საბჭოს წევრმა სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ ყველა ეს რეკომენდაცია, გარდა რეკომენდაციისა ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, მისი

აზრით, აღნიშნული სამი რეკომენდაცია პრაქტიკულად იმეორებს ერთმანეთს და სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს თითოეული რეკომენდაციის შინაარსის დაზუსტება და განმარტება.
მოწვეული საბჭოს წევრმა, თამარ ვალიშვილმა, კომპონენტი 2.6-ში, სადაც საუბარია OSCE-თან დაკავშრებით, რეკომენდაცია საკმაოდ მკაფიო გულისხმობდა OSCE-ს გამოცდების რაოდენობის გაზრდას პროგრამაში, ასევე, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის თანახმად პროგრამაში ნამდვილად არის ბევრი საგანი, სადაც OSCE არის გათვალისწინებული, ასევე დაწესებულება აპირებს ამ კუთხით კიდევ უფრო მეტი სამუშაოს განხორციელებას და განზრახული აქვთ მოახდინოს OSCE-ის გამოცდების საგნების ინტეგრირება, დაინტერესდა არის თუ არა OSCE საგნებში/პროგრამაში თუ გეგმა/სტრატეგიული ხედვაა და სთხოვა დაწესებულებას უფრო მკაფიოდ წარმოედგინა, თუ როგორია ხედვა თანამედროვე შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით კლინიკურ საგნებში.
მან განაცხადა, რომ სამედიცინო განათლების ეროვნული სტანდარტი გულისხმობს სამედიცინო განათლების კადრის მოწვეული/აკადემიური პერსონალის მუდმივ გადამზადებას, დაინტერესდა თუ რა გაკეთდა აღნიშნული გადამზადების კუთხით.
მოწვეული საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ, კლინიკური სწავლების შესახებ, განაცხადა, რომ, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა ჯერ არ დაწყებულა კლინიკური ეტაპი პროგრამაში, თუმცა არსებობს უნივერსიტეტისა და პერსონალის მზაობა, დოკუმენტაციის თანახმად იყენებენ ძალიან ბევრ მეთოდს, რომელიც თანამედროვე მედიცინის სწავლებაში გამოიყენება, რაც დარგობრივ მახასიათებელში, სილაბუსსა და პროგრამაშიც წერია, ყველაფერის განხორციელება მარტივი არ არის, სჭირდება ძალიან დიდი რესურსი - დრო და ძალისხმევა, ყველაფრის ერთდროულად დაწყება მისი მოსაზრებით იქნება საკმაოდ რთული, დაინტერესდა თუ როგორია პროგრამის ხელმძღვანელების მიმართება, რას ირჩევენ, რომელ მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას და რას აკეთებენ მათი დახვეწისათვის.
მოწვეული საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ ხდება კლინიკებისა და პერსონალის აფილირება და რას მოიაზრებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიჰაი ბოროშმა, განაცხადა, რომ ქართველი ექსპერტებიც შეძლებდნენ პასუხების გაცემას. რეკომენდაცია/რჩევის დუბლირების შესახებ, განაცხადა, რომ აღნიშნული უნდა ყოფილიყო მხოლოდ რეკომენდაცია, მრჩეველთა საბჭოს შესახებ, განმარტა, რომ მრჩეველთა საბჭოს მიზანი/დანიშნულება არის აკადემიური თავისუფლების შენარჩუნება.

14:58 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი და განაცხადა თვითაცილება, რომლის საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, რიგი რეკომენდაციების რჩევად განხილვის შესახებ, მან დაადასტურა უნივერსიტეტის სწრაფვა, რაც დადასტურდა პირველ დღეს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს სურთ იყვნენ პირველები ამიერკავკასიაში, სურთ, რომ სამედიცინო სკოლაც მისდევდეს მათ იმიჯს, აქედან გამომდინარე შეფასებაც პასუხობს მათ მისწრაფებას. პროგრამა შეფასდა არა იმ გადასახედიდან, რომ იყოს რიგითი, არამედ, როგორც საუკეთესო.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ასევე, წარმოჩინდა საუკეთესო პრაქტიკა. ირკვევა, რომ დაწესებულება საკმაოდ კარგად ართმევს თავს გამოწვევებს, რომელიც არსებობს, განვითარების დინამიკაში დაწესებულება საკმაოდ წინ არის წასული, სწორედ ეს აინტერესებდა მას, რომ თუ დაწესებულებას თვითონვე აქვს განვითარების გზა, აქტიურად ახორციელებს და ვითარდება, მაშინ რატომ გახდა საჭირო აღნიშნული რეკომენდაციების გაცემა, შესაძლებელია რჩევის სახით გაცემა.
ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანების თანახმად ერთსაფეხურიან მედიცინის პროგრამას არ შეუძლია ყოველწლიურად 15 კრედიტი აათვისებინოს სტუდენტს, 6 წლის განმავლობაში შესაძლებელია სტუდენტს მიეცეს +15 კრედიტი, სწორედ ამ ჩანაწერზე იყო საუბარი და არ იკითხებოდა პროგრამის პირველ ან მეორე გვერდზე. მისი თქმით, ნებისმიერი ექსპერტი თუ დაწესებულების წარმომადგენელი შეიძლება არ ეთანხმებოდეს საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანებაში

განხორციელებულ ცვლილებას, იყო განხილვა, უკუკავშირი ცენტრთან და საკითხი დაძრულია, ვინაიდან +15 კრედიტი 6 წლის განმავლობაში უამრავ პრობლემას უქმნის სტუდენტს, რომელიც სარგებლობს მობილობით. ამ ჩანაწერის უკან სხვა ჩანაფიქრი იყო და თუნდაც ცოტახნის წინ ტვილდიანის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროგრამის ანგარიშის განხილვის დროსაც გაჟღერდა აღნიშნული 15 კრედიტის 6 წლის განმავლობაში ათვისების შესახებს სხვა სამედიცინო სკოლების მხრიდან. ექსპერტი ეთანხმება თუ არა, ეს ჩანაწერი ბრძანებაში არსებობდა და აქედან გამომდინარე გაჩნდა აღნიშნული რეკომენდაცია.
სწავლის შედეგების/კომპეტენციისა და კლინიკური გამოცდების შესახებ მან განაცხადა, რომ OSCE ნამდვილად წარმატებით გამოყენებულია პროგრამაში, მათ ნახეს უნივერსიტეტის ცოტა განსხვავებული მიდგომა სადგურების აღჭურვის თვალსაზრისით, თავისებური, ინოვაციური მიდგომა ჰქონდათ გამოყენებული, რათა რაციონალურად გამოეყენებინათ ადამიანური/მატერიალური რესურსი, მაგრამ დასკვნის აღწერილობით ნაწილში მოყვანილია რამდენიმე საგანი (მეანობა, გინეკოლოგია, ზოგადი ქირურგია, შინაგანი მედიცინა, ონკოლოგია, ანესთეზიოლოგია და რეანიმაცია, ბავშვთა ინფექციური დაავადებები, სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა, სინდრომული დიაგნოზი, პედიატრია, საოჯახო მედიცინა), გამოყენებული იყო ზეპირი გამოცდა ან ტესტი, თუმცა შეფასების მეთოდი დანერგილია, ხალხი გადამზადებულია, უბრალოდ უნდა გაიზარდოს გამოყენება კლინიკური საგნების ფარგლებში, რათა კლინიკური საგნების შეფასება მოხდეს ადეკვატურად. სწავლის შედეგების შესახებ განაცხადა, რომ რეკომენდაციის აღწერით ნაწილში არის რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელთა სწავლის შედეგის მიხედვით სტუდენტს შეუძლია დიფერენციალური დიაგნოსტიკა, აქვს კლინიკური შემთხვევის შეფასების უნარი, აქვს კომუნიკაციის უნარი და სწავლების ადრეული ეტაპიდან, კლინიკურ ფაზამდე გადასვლამდე უკვე არის ნაჩვენები, როგორც გაღრმავებული, თუ მე-7, მე-8 სემესტრში ეს უნარი შეფასებულია, როგორც გაღრმავებული, 1-ლი, მე-2 და მე-3 დონე მიყვებოდეს სწავლების წლებს, ვინაიდან მომდევნო კლინიკურ საგნებში აღნიშნული ეტაპი უფრო გაღრმავდება, ეს შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზია. თუმცა გაიცა რეკომენდაცია, რომ მიჰყვებოდეს კლინიკური საგნები თანმიმდევრობას, ისე, რომ ჩანდეს გამომუშავებული სწავლის შედეგის გაღრმავების დინამიკა. ზოგადად, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები მუდმივად კამათობენ მთავრდება თუ არა 6 წელში ამა თუ იმ უნარის სწავლა, როდესაც სწავლის შედეგებში გაწერილია პროფესიონალიზმი, შეუძლებელია 6 წელში მასტერის დონეზე მისი გაყვანა, ვინაიდან მომავალი პროფესიონალის დახელოვნება გრძელდება და ეს უწყვეტი განათლების პროცესია. საუბარია იმაზე, რომ დოკუმენტაცია პასუხობდეს დაწესებულების სტრატეგიულ განვითარებას/მზაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანმა, პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი მახარაშვილმა, კომპონენტი 1.1-ში გაცემული რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ მან კომპლიმენტად მიიღო ექსპერტის ბოლო კომენტარი. დაწესებულებამ 2020 წელს გაწერა სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც პირველ მიზნად დასახულია სამეცნიერო განვითარება. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ჩადებულია მექანიზმში, სამოქმედო გეგმაში და მიმდინარეობს მონიტორინგი. დაწესებულება მაქსიმალურად ხელს უწყობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართვას კვლევებში, ასევე სტუდენტების ჩართვას კვლევებში. აფილირების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ის, რომ დაწესებულება აფინანსებს კვლევებს, აფილირებულ პერსონალს აქვს შიდა გრანტის მოპოვების საშუალება, იმისთვის, რომ პროფესორი გახდეს აღნიშნული უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი, აუცილებლად უნდა აწარმოებდეს კვლევებს, დაწესებულებას აქვს გარკვეული მოთხოვნა კვლევების რაოდენობასა და ხარისხთან დაკავშირებით. რაც უფრო მეტ კვლევას აწარმოებს პროფესორი, დამატებით უნაზღაურდება, რაც ნიშნავს, რომ დაწესებულება

მაქსიმალურ სტიმულს აძლევს პროფესურას კვლევების წარმოებისთვის, მათ შორის მედიცინის მიმართულებითაც. მსგავსი წახალისების სისტემა აქვს დაწესებულებას მოფიქრებული სტუდენტებისთვისაც, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციასა და სამეცნიერო აქტივობაში. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება შიდა სასკოლო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის სტუდენტები. აქვე აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში მონაწილეობა არის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მიღების წინაპირობა, რაც ამაღლებს სტუდენტების მოტივაციას სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობისთვის. მისი თქმით, დაწესებულება ყველაფერს აკეთებს, ეს არის ცოცხალი პროცესი, მიმდინარეობს და ყოველთვის განვითარებადია.

კომპონენტი 2.4-ის შესახებ მან განაცხადა, რომ ვინაიდან მედიცინის პროგრამა ანიჭებს მაგისტრთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, მედიცინის პროგრამის მე-12 სემესტრში გათვალისწინებული საკურსო ნაშრომის შედგენის წესი აღწერილია სამაგისტრო დებულებაში, სადაც ახსნილია თუ ვინ იქნება ხელმძღვანელი, გაწერილია ყველაფერი, სტუდენტის/ხელმძღვანელის ვალდებულება, ისეთი მინიმალური დეტალებიც კი, როგორიცაა გვერდების რაოდენობა, ფორმატი, ასოების რაოდენობა და ა.შ. ამ ნაწილზე ექსპერტთა ვიზიტის დროს საუბარი არ ყოფილა, შესაბამისად, დაწესებულებას უწევდა სხდომაზე დაზუსტება, დოკუმენტი დართული აქვს არგუმენტირებულ პასუხსაც.

კომპონენტი 4.1-ში გაცემული რეკომენდაციის (მკაფიოდ განსაზღვრეთ კლინიკური ხელმძღვანელების როლი და ადგილი პროგრამაში მათი ფუნქციების ჩათვლით. კლინიკური პედაგოგების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის კრიტერიუმებით; შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს) შესახებ, მან განაცხადა - აღნიშნული პროგრამის წინა აკრედიტაციის დროს, როგორც ექსპერტებმა, ისე აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია სასწავლო კურსებში - კლინიკური როტაცია 1 და 2, პრაქტიკის ხელმძღვანელებად აერჩიათ პედიატრი, თერაპევტი, ქირურგი და მეან-გინეკოლოგი. პროგრამის ჯგუფმა გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და აღნიშნულ სასწავლო კურსებში პრაქტიკას შესაბამისად შერჩეული პირები ხელმძღვანელობენ, ვისაც უდასტურდებათ მაღალი აკადემიური და კლინიკური გამოცდილება. ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის საქმიანობის რეგულარულად შეფასების სხვადასხვა აუცილებელი მექანიზმი, მათ შორის, სტუდენტების გამოკითხვა, პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელების მიერ კლინიკური კომპონენტის მიმდინარეობის შეფასება და სხვ. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ. პროფესორის შერჩევა ხდება გარკვეული წესის მიხედვით, დოკუმენტებს ეს ყველაფერი თან აქვს დართული და შესაბამისად მაღალ კვალიფიკაციასა და მოთხოვნებს აწესებენ თითოეული პროფესორისთვის, შემდეგ გადამოწმების რამდენიმე მექანიზმი არსებობს, თუმცა ვერ იქნება მექანიზმი ჩართული საგანში, რომელიც ჯერ არ გავლილა. პროგრამა აკრედიტირდა 2018 წელს, როგორც პასუხისმგებლიანმა უნივერსიტეტმა 2 წელი მოანდომეს, რომ ჩაეშვათ აღნიშნული პროგრამა ბაზარზე, მხოლოდ პირველი მეორე კურსის სტუდენტები ყავთ მეოთხე/მეხუთე კურსის სასწავლო კურსები ამ ეტაპზე არ არის და, შესაბამისად, როგორ მიმდინარეობს სალექციო პროცესი ამის მონიტორინგი არ ხორციელდება. მონიტორინგის წესი არის შემდეგი: 1. ადგილზე შემოწმება, როდესაც პროგრამის ხელმძღვანელები ადგილზე ამოწმებენ თუ რამდენად ხდება ყველა იმ კომპონენტი გავლა და შეფასების მექანიზმის გავლა რაც სჭირდება საგანს; 2. სტუდენტების მიერ ლექტორის შეფასება, როდესაც ფარულის შეფასება ხდება სტუდენტის მხრიდან, ლექტორმა/ადმინისტრაციამ არ იცის ვინ აფასებს ლექტორს, რაც სავალდებულოა, შემდეგ ხდება ყველაფრის ანალიზი და რეაგირება მიღებულ ინფორმაციაზე. შესაბამისად, დაწესებულება არ დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას.

კომპონენტი 4.2-ში გაცემული რეკომენდაციის (სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყველა წევრის სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩასართავად რეკომენდებულია აკადემიურ მრჩეველთა საბჭოს ან მსგავსი

ორგანოს შექმნა სამედიცინო სკოლის პრიორიტეტულ კვლევით თემებზე მუშაობის გასაძლიერებლად) შესახებ, მან განაცხადა, რომ დაწესებულებას შეუძლია რჩევად მიიღოს აღნიშნული საკითხი, მაგრამ არა რეკომენდაციად, რადგანაც მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს სკოლის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. აღნიშნული საბჭო აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო საკითხების განხილვაში, გასაუმჯობესებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც დამატებით შედიან სხვა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
კომპონენტი 4.3-ში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია, განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორია სტუდენტების პრაქტიკისა და ტრენინგებისთვის) შესახებ, მან განაცხადა, რომ ამჟამად არსებული კლინიკური უნარების ლაბორატორია სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნებს. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სალექციო კურსის მიღმა ჰქონდეთ წვდომა დამატებითი პრაქტიკის დამოუკიდებლად გასავლელად, ვინაიდან სტუდენტებისთვის აღნიშნული ლაბორატორია არასალექციო დროსაც ხელმისაწვდომია. სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, უნივერსიტეტი დროულად განახორციელებს შესაბამისი რესურსების გამოყოფას და შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფას. დანართის სახით წარმოგიდგენთ 2021 წელს სიმულატორების შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტებს. ვინაიდან ექსპერტების აზრი მუდმივი განვითარების თვალსაზრისით ემთხვევა უნივერსიტეტის განვითარების ხედვას და სტრატეგიას, აღნიშნულ საკითხს შევხედავთ როგორც რჩევას.

15:19 საათზე საბჭოს შემოუერთდა მოწვეული წევრი ივანე ჩხაიძე.
უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ, განმარტა, რომ კავკასიის უნივერსიტეტს სწავლა არ შეუჩერებია და მთელი პანდემიის განმავლობაში იყვნენ უნივერსიტეტში, , გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტრანსპორტით გადაადგილება აიკრძალა. ამასთანავე უნივერსიტეტში არანაირი კლასტერი არ შექმნილა იმდენად ზედმიწევნით იცავდნენ რეგულაციებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად კირტავამ, გამოთქვა იმედი, რომ პროგრამა შეფასდებოდა სათანადოდ. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, რომლებმაც ისაუბრეს იმ სირთულეებზე, რომლების გავლაც მოუწია დაწესებულებას. გლობალური პანდემია შეცვალა ძალიან მძიმე მეორე პრობლემამ, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მთელ რიგ პროცესებზე ქვეყანაში, მიუხედავად ამისა, არანაირი გავლენა მოუხდენია, რომელიც გაართულებდა სწავლის შედეგებზე, მისიაზე გასვლას, ეს იყო საკმაოდ სერიოზული სამუშაო და დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში უნივერსიტეტსა და კონკრეტულად მედიცინის პროგრამას მოუწია რამდენიმე პროცესში ზედიზედ მონაწილეობა, ეს იყო არაგეგმიური მონიტორინგი, ავტორიზაცია, ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე გადასვლა და აკრედიტაციის პროცესი. მიუხედავად ამისა, მათ ეს ყველაფერი განახორციელეს და რაც შეეხება გამოთქმულ მოსაზრებებს, სწავლების შედეგების შეფასების შესახებ, მან განაცხადა, რომ შედეგზე ორიენტირებული სწავლებისთვის აუცილებელია, დაწესებულებამ ძირითად პაკეტშიც და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთადაც წარმოადგინეს ცხრილი, სწავლის შედეგების შეფასების გრაფიკი, სადაც წარმოდგენილია თოთხმეტივე კომპეტენციის შეფასების გაწერა დროში, რომლებიც ფასდება ორჯერ მაინც და საბოლოო ჯამში 28 შეფასებას მაინც ახორციელებს. აქედან 8 კომპეტენციის შეფასება დაგეგმილია OSCE-ის ფორმატში, რასაც ახდენენ გარკვეული ინტეგრირებული გამოცდის საშუალებით. OSCE-ის ინტეგრირებაში იგულისხმება, რომ შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა კომპეტენციების ერთდროულად შეფასებით ან იყოს ინტეგრირება სხვადასხვა საგნის, რომელიც დროის თვალსაზრისით ემთხვევა ერთმანეთს და მიღებულია, მათ ეს ჩაატარეს, როდესაც მოახდინეს OSCE-ის

ინტეგრირება პირველადი დახმარებისა და კომუნიკაციური უნარების მხრივ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. OSCE-ის ჩატარება მოუწიათ ყველაზე მძიმე, Omikron-ის პერიოდში, როდესაც 220 000 აქტიური შემთხვევა იყო, მიუხედავად ამისა დაწესებულებამ ეს შემთხვევა არ ჩააგდო, იყო დაინტერესება ამ პროცესის წარმმართველი კლინიკური უნარების ხელმძღვანელისა და სტუდენტების მხრიდან, რომლებისთვისაც ეს ახალი გამოცდილება აღმოჩნდა. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლები არ ნანობენ, რომ ფაქტობრივად მთელი პერსონალი, რომელიც ამ პროცესში მონაწილეობდა აღმოჩნდა იზოლაციის 2 კვირიან სივრცეში. გრაფიკი, რომელიც დაურთეს დანართი 6-ის სახით, მოიცავს თუ როგორ და რომელ საგნებში შეიძლება მოხდეს სხვადასხვა OSCE-ის ინტეგრირება. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობა შეიძლება იყოს ნაკლები შესაძლებელია საგნების კარგად ინტეგრაცია. ინტეგრაციის დახმარებით დაწესებულება ზოგავს საშუალებებს, ახდენს რესურსების ინტენსიფიკაციას. დაწესებულება არ არის გაჩერებული ერთ ადგილზე და ამას მუდმივი განვითარება სჭირდება. დადებითად შეფასდა როგორცOSCE-ის ინოვაციური მოწყობილობა, ასევე, საუბარია OSCE-ის სცენარების მუდმივ განვითარებაზე, მონაწილე პერსონალის/შემფასებლების გადამზადებაზე, სიმულირებული პაციენტების გადამზადებაზე და სხვა, რაც საკმაო ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევს სამეცნიერო და შეფასებისთვის განკუთვნილ რესურსებს. მისი თქმით, OSCE არ არის მწვერვალი, ხშირ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება პაციენტის საწოლთან გამხორციელებულ სწავლებას, გამოიყენება მთელი რიგი სამუშაო ადგილზე შეფასების მეთოდები Work place based assessment, სადაც ფიქრობენ გამოიყენონ მინი-კლინიკური სავარჯიშოს შეფასება, შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსიების ერთ-ერთი მეთოდი, რომელშიც თვითონაც მონაწილეობენ პროექტის ფარგლებში. შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება იქნება წარმმართველი, განსაკუთრებით ისეთ კლინიკურ საგნებში, სადაც კლინიკური აზროვნების განვითარება არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პრაქტიკული უნარებისა. ზემოაღნიშნული მოთხოვს სწორ დაგეგმვას, რესურსების განვითარებას, რაც კლინიკურ პერსონალთან თანამშრომლობით მიიღწევა, არამხოლოდ ექიმები, არამედ თუ ისაუბრებენ 360 გრადუსიან შეფასებაზე შეუძლებელია არ ჩაერთოს სხვა რგოლები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, კონკრეტულად იმაზე საუბარი თუ როგორი იქნება ზუსტად ის ნაზავი 5 წლის შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტს ექნება საკუთარი კლინიკა, რომლის გახსნა იგეგმება 2024 წელს, რადგან ყველა დეტალი უკვე გაწერილია და ელოდებიან მის შესრულებას, საერთოდ განსხვავებული იქნება იმ დროისთვის მედიცინა/სამედიცინო განათლება, რადგან ვითარდება და დაწესებულებამ საკმაოდ სწრაფად აუბა ფეხი და ის ტემპი, რაც არის სამედიცინო განათლების მხრივ საქართველოში, მართლაც შესაშურია. მან მადლობა გადაუხადა ადამიანებს, რომლებიც განვითარების პროცესში მონაწილეობდნენ, განსაკუთრებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრს გაიანე სიმონიას და ინსტიუციონალური განვითარებისთვის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს, რომელიც ბრწყინვალედ მუშაობს, არ შეჩერებულა და პანდემიის განმავლობაში მოამზადეს ახალი დარგობრივი მახასიათებელი.

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების გრადაციის შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სამწუხაროდ, დაშვებული იყო ხარვეზი, ეს არის საკმაოდ მოცულობითი ცხრილი, სადაც 16 სვეტია და 80-მდე სტრიქონი. შესაბამისად, ბევრი მონაცემის კოპირებისა და მონაცემთა ბაზებიდან გადმოტანის დროს, დაიშვა ხარვეზი, რომელიც დაწესებულებამ გაასწორა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად რუკის შესწორებული ვარიანტი, სადაც იგივე გრადაცია: გაღრმავება, განმტკიცება და სხვა ასახულია ისე, როგორც უნდა იყოს, განვითარების შესაბამისად. თითოეული კომპეტენციისა და სწავლის შედეგის შეფასების შესახებ მან განმარტა, რომ ნაწილობრივ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ უნდა შეფასდეს თითოეული კომპეტენცია, თუმცა თუ ეს იქნება მექანიკურად გაგებული და ისაუბრებენ პარალელურ კურსებზე, ერთი და იგივე კურსის განმავლობაში მიმდინარეობს სხვადასხვა პრაქტიკული უნარების შეფასება, ეთიკური კომპეტენციების შეფასება, კომუნიკაციის უნარის შეფასება კოლეგებთან, პაციენტის ახლობლებთან, შშმ პირთან და ეს მეორდება სხვადასხვა

კურსებში, ზოგიერთ ისეთ კურსებშიც, რომლებიც პარალელურად ერთი და იმავე დროს, ერთი სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს. იგი დაეთანხმა ექსპერტის, ირინე ფხაკაძის, მოსაზრებას, რომ ძალიან რთულია 14 კომპეტენციის, მითუმეტეს კლინიკურ საგნებში შეფასება, ამიტომ არსებობს მოსაზრება, რომ თუ ემთხვევა დროში არ იყოს მექანიკური დუბლირება. თუმცა იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას შედეგი და ეს იგრძნოს, როგორც თითოეულმა სტუდენტმა, ასევე საზოგადოებამ, რომლისთვისაც ამზადებენ აუცილებელ კადრს, დაწესებულებამ მაქსიმალურად უნდა შეასრულოს მისი ამოცანები.
ზეპირი გამოცდების შესახებ მან განაცხადა, რომ მისთვის გასაკვირი იყო, რადგან თითქმის მუდმივად სრულდება კლინიკური საგნების შემოწმება და კლინიკურ ბაზებთან მუშაობა არის სერიოზული გამოწვევა, რომელსაც დაწესებულება წარმატებით ართმევს თავს. წინა აკრედიტაცია/ავტორიზაციის შემდეგ ფაქტობრივად გაორმაგდა დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა, თუ ადრე ჰყავდათ ერთი აფილირებული პერსონალი, ახლა შვიდი ჰყავთ. ეს არის ისეთი პროცესი, რომელიც მუდმივად ვითარდება, დაწესებულება აქტიურად მუშაობს პარტნიორ კლინიკებთან ურთიერთობის დახვეწის შესახებ და შემოწმების პერიოდული/რეგულარული შემოწმება არის აუცილებელი კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ შეარჩიეს საკმაოდ კვალიფიციური კადრი, გამოიყენეს გამჭვირვალე კონკურსი და ის მეთოდოლოგიური მიდგომა, რაც აქვს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს და რაც აქვს შპს კავკასიის უნივერსიტეტს ჰქონდა, ეს მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულნი არიან, რომ მათ პარტნიორ კლინიკებთან კოლეგიალურობის მუდმივი დაცვით, რაც აუცილებელია მედიცინაში, მიიღებენ ინფორმაციას სტუდენტებისგან, რადგან ისინი არიან აღნიშნული პროდუქტის მომხმარებლები, იხდიან თანხას და როგორც საზოგადოებას, ისევე მათ/დაინტერესებულ მხარეებს აქვთ სრული უფლება მოითხოვონ მონიტორინგი, ანონიმური შეფასება, რის მიხედვითაც იღებენ გადაწყვეტილებებს რესურსის გაძლიერების შესახებ.

15:30 საათზე საბჭო დატოვა მოწვეულმა წევრმა, ლევან რატიანმა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, დიანა მჭედლიშვილმა, გაცემული რეკომენდაციების შესახებ განაცხადა, რომ ისინი უკვე განხორციელებული/დანერგილია უნივერსიტეტში, ან წარმოადგენს სასარგებლო რჩევას და სწორედ საუნივერსიტეტო დონეზე განვითარების ჭრილში და არა კონკრეტული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში, უფრო საუნივერსიტეტო ხედვებთან მიმართებით.
კომპონენტი 1.1-ში გაცემული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს ძალიან დიდი ამბიციები და ბევრი წინსვლა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რადიკალურად შეიცვალა აფილირებული პროფესორების აყვანის წესი, რამაც რეალურად შეცვალა დაწესებულების სამეცნიერო პოტენციალი და მათ შორის დიდი წვლილი სწორედ მედიცინის მიმართულებას უკავია, აყვანილი ჰყავთ ისეთი აფილირებული პროფესორები, რომელთაც საკმაოდ ღირებული და მაღალი სამეცნიერო პოტენციალი აქვთ. აფილირების წესის მიხედვით დაწესებულება პროფესორს სთავაზობს ერთი წლის განმავლობაში სრულ ანაზღაურებას, ანუ აფილირებული პროფესორები ყოველ თვეს იღებენ სტაბილურ ანაზღაურებას, რომელშიც ითვლება, როგორც სალექციო, ისე კვლევაში გახარჯული საათები, რაც მთავარია, აკადემიური პერსონალი სკოლასთან ერთად თვითონ წყვეტს კონკრეტულ სემესტრში რამდენი საათი უნდა დაუთმოს კვლევას და რამდენი სალექციო მუშაობას. ეს არის მოქნილი სისტემა, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს კონკრეტულ სემესტრში მეტი დრო და რესურსი დაუთმოს კვლევას თუ ამის საჭიროება ექნება იმ მომენტში, ეს ყველაფერი ზრდის აფილირებული პერსონალის სამეცნიერო პოტენციალს, ბოლო წლებში დაწესებულებამ საგრძნობლად გაზარდა აფილირებული პერსონალის რიცხვი, რაც არ ნიშნავს, რომ ყველა მსურველი გახდება კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, მათ აქვთ გარკვეული კრიტერიუმები,

აუცილებლად უნდა აწარმოოს კვლევა, უნდა იყოს ინსტიტუციასთან აფილირებული და ინტეგრირებული უნივერსიტეტის სივრცეში უნდა იმუშაოს სტუდენტებთან, კვლევებში ჩართოს სტუდენტები, დაწესებულებას აქვს შიდა სამეცნიერო გრანტები, რომლებშიც აფილირებული პროფესორებიც მონაწილეობენ სტუდენტების ჩართულობით. შესაბამისად, ეს სისტემა საკმაოდ კარგად მუშაობს და ამ მიმართულებით გააგრძელებენ მუშაობას. დაწესებულება გეგმავს ამ მიმართულებით მეტად განვითარებასა და აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას.

კომპონენტი 2.2-ში გაცემული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ით, რომელიც საფუძვლად უდევს უნივერსიტეტში დადგენილ შესაბამის რეგულაციებს. რეკომენდაციაში აღნიშნული ნორმა ძალაშია უნივერსიტეტში მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. პროგრამის აღწერილობაში ჩარჩენილია ტექნიკური ხარვეზი ამ ნორმის მანამდე არსებული ფორმულირების სახით, რაც გასწორებულია პროგრამის მოქმედ ვერსიაში. სასწავლო ვადები და ა.შ. რეგულირდება, როგორც დაწესებულების შიდა მარეგულირებელი ბრძანებებით/დოკუმენტებით, ასევე მინისტრის ბრძანებებით.

კომპონენტი 2.3-თან დაკავშირებული რეკომენდაციებთან შესახებ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, განაცხადა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მკაფიოდ არის გაწერილი თუ რომელი სასწავლო კურსი მონაწილეობს პროგრამის რომელი შედეგის განვითარების ნაწილში და რა დონით, (გაგება, განმტკიცება, გაღრმავება), რომლებიც მოცემულია კურიკულუმის რუკაში. რადგან პროგრამა დაიწყო მეორე წელია შედეგების შეფასების მექანიზმის გადახედვა ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ იყო, რადგან მას აქვს თავისი ეტაპები, რომელიც მთლიანად პროგრამის განვითარების ციკლის ბოლოს უნდა შეფასდეს, რაც გულისხმობს, რომ თითოეული სემესტრის დასაწყისში დაწესებულება გეგმავს თუ რომელ შედეგზე მოხდება გასვლა, რომელი სასწავლო კურსებით და სემესტრის ბოლოს ხდება ამის ანალიზი. არ არის გამორიცხული, რომ პროგრამის კურიკულუმის რუკამ ამ ნაწილში განიცადოს ცვლილებები, დაკვირვებების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგად, შედეგების ანალიზმა აჩვენოს, რომ კონკრეტული სასწავლო კურსი იმ შედეგზე არა გაღრმავების, არამედ განმტკიცების დონეზე გადის და პირიქით, კიდევ სხვა რაიმე სახის ცვლილებები შეიძლება იყოს. შედეგების რუკა არის გადასახედი არა წლის, არამედ ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, საჭიროებს შესაბამის კორექტირებას, რათა მიიღონ სრულყოფილი რუკა, თუმცა PDCA ციკლის გარშემო ტრიალებენ. სრული სურათის მისაღებად საჭიროა პროგრამის დასრულება, ამიტომ აღნიშნული სამი რეკომენდაცია არის ერთი შინაარსის მატარებელი, დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციებს განიხილავს რჩევად, ვინაიდან ეს პროცესია, ასე მუშაობს მექანიზმი და თავისთავად ასე ხდება. ლიტერატურის შესახებ მან აღნიშნა, რომ აღნიშნული სტრატეგია უნივერსიტეტში არის და კვირა არ გავა, რომ ლიტერატურის დიდი ნაწილი არ იქნას შეძენილი, ამ ეტაპზე დაწესებულება გადასულია ელექტრონული წიგნების შეძენაზე, აღნიშნულიც მუდმივად განახლებადია, შესაბამისად რეკომენდაციად ვერ განიხილავენ, რადგან მედიცინის პროგრამა საკმაოდ მოცულობითია და ბევრი ლიტერატურა არის საჭირო, სულ რამდენიმე შემთხვევაში იყო დაფიქსირებული 2008 წლის გამოცემა, რომელიც განახლებულ იქნა და არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემულია ცხრილის სახით. მან აღნიშნა, რომ ეს პროცესი გაგრძელდება, არა მხოლოდ აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესებისთვის, არამედ მერეც, რადგან ეს დაწესებულების სტრატეგიაა და გამოყოფილია შესაბამისი რესურსები, რომ კვალდაკვალ მიჰყვეს განვითარებას. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და საბჭოს წევრებმა იციან აღნიშნული ინფორმაცია.

მოწვეული საბჭოს წევრი, მაია ბიწკინაშვილი, დაინტერესდა თუ როგორ აპირებს დაწესებულება აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას, როდესაც ამ ეტაპზე მედიცინის პროგრამაზე სულ 34 პროფესორია, რომელთაგან მხოლოდ ექვსია აფილირებული.

უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას ძალიან მკაცრი შერჩევის პოლიტიკა აქვს.
მოწვეული საბჭოს წევრმა, მაია ბიწკინაშვილმა, დააზუსტა მათი მოსაზრებით ხომ არ უქმნის აღნიშნული რისკს რესურსის მდგრადობას.
უნივერსიტეტის პრეზიდენტმა დასძინა, რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა და, შესაბამისად, მდგრადობის პრობლემა მათ წინაშე არ დგას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს სტრატეგია ეტაპობრივად გაზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა და არა ერთად აიყვანოს ბევრი, არამედ ეტაპობრივად გაზარდოს რაოდენობა იმ კრიტერიუმების მიხედვით, რაც დაწესებული აქვს. მარტივი არ არის, რომ ყველამ შეძლოს სემესტრის განმავლობაში საკმაოდ კარგი სამეცნიერო პროდუქტი შესძინოს დაწესებულებას. შესაბამისად, მათ აქვთ გარკვეული კრიტერიუმები/გეგმა და ბოლო წლის განმავლობაში 10-ზე მეტი აფილირებული პერსონალი დაიმატეს. შესაბამისად, აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდება და მდგრადობასთან დაკავშირებით პრობლემა არ აქვთ. სავარაუდოდ, სკოლასაც ექნება ხედვა აღნიშნულთან დაკავშირებით და განხორციელდება მოლაპარაკებები, უკვე დასაქმებულ არა აფილირებულ პერსონალთან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ისახება გეგმა, რათა მოხდეს შემდეგში მათი აფილირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:57
დასრულების დრო: 17:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 1.1, 2.2 2.6. და 4.2, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- კომპეტენციათა რუკაში გადაიხედოს სასწავლო კურსების სამ დონეზე განაწილებისა და განსაზღვრის საკითხი და იყოს ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში;
- საჭიროა 2002, 2005, 2006, 2008 წლებში გამოცემული სავალდებულო ლიტერატურის განახლება;

- უნდა განისაზღვროს მე-12 სემესტრში საკურსო მუშაობაში ჩართული მენტორების და სტუდენტების პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობის წესები, შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად;
- მკაფიოდ განისაზღვროს კლინიკური ხელმძღვანელების როლი და ადგილი პროგრამაში მათი ფუნქციების ჩათვლით. კლინიკური მენტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დარგობრივი მახასიათებლებით; შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს;
- რეკომენდებულია განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორია სტუდენტების შესაბამისი რაოდენობის პრაქტიკის და სწავლების მიზნით;
- სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა, რეკომენდებული სახელმძღვანელოები (ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსიები) უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განახლებული. პროგრამა არის ახალი; ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უახლესი გამოცემები იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი რაოდენობით;
- პრაქტიკაზე ორიენტირებული პრეკლინიკური საგნების დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში გაცილებით მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს პრაქტიკულ ნაწილებზე; სასწავლო გეგმის განმავლობაში უნდა გაიზარდოს პრაქტიკული გამოცდების ხვედრითი წილი - ტექნიკური კომპეტენციების, კლინიკური და კომუნიკაციური უნარების დემონსტრირება;
- მე-12 სემესტრის განმავლობაში საკურსო ნაშრომის მომზადების პროცესში ჩართული პედაგოგებისა და სტუდენტების პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად.

რჩევები:

- სასურველია, ინსტიტუციამ მუდმივად იზრუნოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაზრდასა და განვითარებაზე;
- კლინიკურ საგნებში სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესაფასებლად რეკომენდებულია ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება;
- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსებში სწავლის ყველა შედეგისა და კომპეტენციის შეფასება.
- სასურველია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისა და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება სწავლის შედეგების/კომპეტენციების შეფასებისთვის კლინიკურ საგნებში;
- სასურველია ყველა სწავლის შედეგის და კომპეტენციის შეფასება სასწავლო კურსებში;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პირველი საკითხის დასრულების შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრებმა დატოვეს სხდომა.

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი/Doctor of Life Sciences - 0511
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	ნოდარ ბოხუას 11, 0159, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მაგდა ალანიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამა, რომელშიც ჩართულნი არიან სერიოზული მეცნიერები და შესაბამისად მათ შეუძლიათ პროგრამა განახორციელონ მაღალ დონეზე, იყო გაცემული გარკვეული რეკომენდაციები, განსაკუთრებით კრედიტების ჩაშლასთან დაკავშირებით უშუალოდ სამეცნიერო ნაწილის, კვლევითი კომპონენტის ჩაშლასთან მიმართებით, ასევე შენიშვნა იყო სწავლის შედეგების საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, აღნიშნულიც იყო კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან კანონმდებლობით მხოლოდ სასწავლო ნაწილი არის შეფასებული კრედიტებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, დავით კერესელიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული პროგრამა შეაფასა დაახლოებით წელიწადნახევრის წინ და პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მხოლოდ მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, დაწესებულების მოსაზრებით 1% არ არსებობდა, რომ პროგრამას რამე პრობლემა შეექმნებოდა აკრედიტაციის პროცესში, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებიც და ექსპერტთა ჯგუფის წევრებიც თვლიდნენ, რომ დეტალები, რომლებზეც საუბარია დასკვნაში, იყო ტექნიკური და არანაირად უკავშირდებოდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასვლას. „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდება წელიწადში 9 ადამიანის, 3-3 სამი მიმართულებით და მხოლოდ ცაისის ლაბორატორიის შესახებ რომ ისაუბრონ, ეს არის გერმანული კარლ ცაისის სააქციო საზოგადოება. გერმანიაში სულ არის რამდენიმე სააქციო საზოგადოება, მათ შორის „გერმანიის ფოსტა“, „რკინიგზა“, სწორედ მათ დონეზეა აყვანილი კარლ ცაისის სააქციო საზოგადოება, რომელმაც საქართველოში გააკეთა წარმომადგენლობითი სასწავლო/კვლევითი ლაბორატორია, ასეთი რამ გერმანელებს არ გაუკეთებიათ, მხოლოდ ამერიკაში ჰქონდათ მანამდე მსგავსი ლაბორატორია, რომელიც უნდა მოემსახუროს განსახილველი პროგრამის სტუდენტებს, ღირებულება 1 000 000 ევროზე მეტია, მოცემულ ეტაპზე ლაბორატორია გაჩერებულია და ელოდებიან აკრედიტაციას, რადგან პროგრამის პირველ ვერსიაში დაწესებულება დარწმუნებული იყო და ეწერათ 180 კრედიტი. შესაბამისად, შემდეგ შეთანხმდნენ, ცოტახნის წინ განიხილეს სხვა პროგრამასთან მიმართებაში, შეცვალეს აღნიშნული და დაწერეს რომ იყო სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტიანი. ასევე, საუბარი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ზე, აქამდე, ცენტრსაც ჰქონდა პოზიცია, რომ ჯობდა აღნიშნული ბრძანება შეცვლილიყო და შემდეგ გასულიყო პროგრამა ხელახალ აკრედიტაციაზე. მან აღნიშნა, რომ სხდომაზე ხედავდა 2021 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარეს ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანს. 2021 წლის ერთ-ერთ სხდომაზე აღნიშნული პროგრამის მსგავს პროგრამაზე ჰქონდათ აზრთა სხვადასხვაობა, ამიტომ სხდომა გადადეს და ახლა იმ სხდომის

გაგრძელებაა, რადგან საფრთხე დაემუქრა პროგრამას, აპელაციის შემდეგაც კი ჩანდა, რომ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ს. მისი მოსაზრებით, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა შესაძლებელია უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდოს საბჭოს, ვიდრე ექსპერტთა ჯგუფმა, რადგან მათთვის მისაღები იყო აღნიშნული პროგრამა. ამჟამად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 შეცვლილია, ანუ ეს რისკიც აღარ არსებობს. შესაბამისად, შეფასების ერთჯერადობაზე მითი/რეალობა მოიხსნა და ამ ნაწილშიც თამამად წარსდგნენ საბჭოს წინაშე. მან განაცხადა, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში ბევრმა წყალმა ჩაიარა და პროგრამაში შეიტანეს ცვლილებები, როდესაც ესმოდათ, რომ ასეთი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა 2020 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის, როდესაც განიხილავდნენ აპელაციის დროსაც, მაშინაც იყო საუბარი, იმაზე, რომ შესაძლებელია ღირდეს კონკრეტული კორექტირებების გაკეთება, ესეც შესრულდა. ერთ-ერთი საკითხი იყო მათემატიკოსების დაშვების ნაწილში, ხომ არ იყო საჭირო დამატებითი კრიტერიუმების განსაზღვრა და ესეც გააკეთეს, არა მხოლოდ ის შეასრულეს, რაც იმ მომენტში აუცილებელი იყო, არამედ რჩევებიც, მოსაზრებებიც, სურვილებიც, ვინაიდან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა პატივი დადო დაწესებულებას და სხდომა გადადო, ასევე მადლობა გადაუხადა 2021 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსაც, რადგან იზრუნეს იმაზე, რომ პროგრამა კიდევ ერთხელ არ „ჩავარდნილიყო“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის ცვლილება მოსწრებულიყო.

მან გააზიარა კომპიუტერის ეკრანი და საბჭოს აჩვენა განსახილველი პროგრამა, სადაც კრედიტების რაოდენობაში ეწერა 180 კრედიტი, ანუ აჩვენა ის მოცემულობა, როგორიც იყო პროგრამა პირველ ეტაპზე; ჩარიცხვის წინაპირობებში იყო სტანდარტული მიღების წინაპირობები და ეწერა მათემატიკა, რადგან იმ დროს მის კოლეგებს სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო მათემატიკის კურსდამთავრებულსაც ჩაებარებინა; დარგობრივი კომპეტენციები გაწერილი იყო ჯერ კიდევ ძველი სტანდარტით, ექვს დონეზე და შესაბამისად საუბარი იყო სახელების შეცვლის აუცილებლობაზე და სამ დონიანი ხდებოდა, როდესაც ჩააბარეს ჯერ კიდევ ექვს დონიანი იყო; სასწავლო კომპონენტები, Professor Guided Research და Colloquium, რომელშიც კრედიტები გაიცემოდა, ეს ის რამაც შინაარსობრივ დონეზე კითხვის ნიშნები გამოიწვია. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გამოიყურება პროგრამა ამ ეტაპზე, დაწესებულების წარმომადგენლებმა ბევრი იმსჯელეს, მათი მოსაზრებით 180 კრედიტიც არ იქნებოდა მტკივნეული, რადგან საუბარი იყო, რომ 60 კრედიტი, მაშინაც და ახლაც ეთმობოდა სასწავლო კომპონენტს, ანუ ამ ნაწილში პრობლემა არ იყო, საუბარი იყო იმაზე, რომ კრედიტებს ანიჭებდნენ კვლევით კომპონენტშიც, სწორედ ამიტომ შემდეგ გამოცხადებული ჰქონდათ მორატორიუმი, როდესაც გაიგეს, რომ აღნიშნული შესაძლებელია პრობლემად აღქმულიყო. კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭებაზე, როდესაც 2020 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო აღნიშნულ პროგრამას განიხილავდა დაწესებულების სტატუს-კვო იყო, რომ პროგრამა შეადგენდა 180 კრედიტს, რაც წინა მედიცინის პროგრამაზეც ასე იყო და, შესაბამისად, სტრუქტურირებულად კომპონენტები გაწერილი იყო სხვანაირად. საერთოდ ამოღებულია კოლოკვიუმი და მხოლოდ სასწავლო კომპონენტებია დარჩენილი და რეალურად სავალდებულო არის 60-დან 45 კრედიტი, სასწავლო კომპონენტის ჯამი არის 60 კრედიტი, 45 სავალდებულო და 15-15 არჩევითი, ანუ არა მორატორიუმი, რითაც წარსდგნენ 2021 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე, არამედ სრულად ამოიღეს აღნიშნული კომპონენტი; ასევე, წინაპირობიდან ამოიღეს მათემატიკის წინაპირობა.

ექსპერტმა, მაგდა ალანიამ, განმარტა, რომ ტექნიკური სახის შენიშვნები ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს, კრედიტებთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რაც შეეხება მათემატიკის მაგისტრის საკითხს, თუ ბიოლოგია ბაკალავრით და მაგისტრატურით მათემატიკოსი შეიძლება ასეთის დამატება.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა ექსპერტს, რომ მას არ ჰქონდა პრობლემა, მსჯელობა იყო ძალიან ჯანსაღი, ექსპერტები ამ ყველაფერს საღად უყურებდნენ,

მაგრამ საბჭოზე დადგა აღნიშნული საკითხი და საბჭოს წევრები არ დაეთანხმნენ, რადგან მათ დაინახეს გარკვეული რისკები, მაგრამ რა ინფორმაციაც ჰქონდათ მიღებული კოლეგებისგან განსაკუთრებით მტკივნეული პრობლემა არავის დაუნახავს. მან ასევე აჩვენა, რომ გასწორდა დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით გაიწერა 3 დონეზე. ასევე საუბარი იყო პერსონალის მიერ ჩატარებულ კვლევებზე, რომლის შესახებაც განაცხადა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში 270 სამეცნიერო ნაშრომზე მეტი აქვთ გამოქვეყნებული.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კონკრეტულად, განსახილველი პროგრამისთვის მოხდა თუ არა გერმანული ლაბორატორიის ჩამოსვლა.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, დავით კერესელიძემ, დაადასტურა, რომ სწორედ აღნიშნული პროგრამისთვის მოხდა, ეს არის კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც, მაგ., მიკროსკოპის მიმართულებით აქვს 10-მდე სხვადასხვა ტიპის მიკროსკოპი, სასწავლო პროცესში უფრო მეტია, რადგან იყენებენ, მაგრამ კონკრეტულად ამ ტიპის აღჭურვილობა იყო ამ პროგრამის მიზნით შეძენილი.
საბჭოს თავმჯდომარე სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით, დაინტერესდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორი იქნება თუ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო, რატომ არ მოხდა მანამდე სწავლის შედეგების ფორმულირება.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ახალ ვერსიაზე, ამ სისტემასთან მასაც ჰქონდა შეხება და აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესებში, ასევე იყო ჯგუფის წევრიც რაღაც პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად დაპირება, რომელიც მან მიიღო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლისგან, რომელიც ამ ყველაფრის კოორდინირებას ახდენდა, იყო ძალიან მარტივი საუბარი იყო Life Long Learning-ზე, რომელიც ვრცელდება, როგორც ზოგად, ისე პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზეც და დუბლინის დესკრიპტორი, რომელიც ხუთ დონიანია და ვრცელდება მხოლოდ უმაღლეს განათლებაზე. შესაბამისად, როდესაც მსჯელობდნენ და კითხვა ისმებოდა უმაღლესი განათლებისთვის ხომ არ დააკლდებოდა რაღაც, ყოველთვის პასუხობდნენ, რომ ეს იყო ETF-ის იდეა, რომელიც მუშაობდა პროფესიულ განათლებაზე, რომ გაემარტივებინათ, რადგან 6 დონიანი ჩაშლა რთული იყო, რადგან პროგრამის შემუშავებისას ამ ნაწილში ადაპტირება უჭირდათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მისი მოსაზრებით ეს არ ყოფილა განსაკუთრებული პრობლემა და აუცილებლად შესაცვლელი, მითუმეტეს ღირებულებითი ნაწილი მას ბრიტანელი კოლეგების რჩევით აიღეს და ამჟამადაც უფრო მოსწონს ღირებულებები, ვიდრე ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია, თუმცა ისაუბრეს და შეთანხმდნენ, რომ ახლის მიღება არაფერს გააფუჭებდა და უკვე მოქმედ პროგრამებს საფრთხეს არ შეუქმნიდა. მას მოსწონდა ექვს დონიანი ჩაშლა და ყველა პროგრამაში ასე ჰქონდა წარმოდგენილი იმ მომენტამდე, სანამ ასე გართულდებოდა. დაწესებულებას არ წარმოედგინა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ასეთ ხისტ პოზიციას დაიჭერდა და ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა, აქ იყო ხელის გადაწევა, მისთვის სასაცილოა თუ სადამდე მივიდა, რადგან ასეთი პრობლემა აღმოჩნდა მათთვის, ნებისმიერი პირი ვინც იყო ჩართული პირველი კატეგორია არის Knowledge-Understanding, როგორც ერთ ისე მეორე ვერსიაში; Skills ახალ ვერსიაში, რომელიც იდენტური ოთხ Skill-ის კატეგორიას აერთიანებს, დუბლინის დესკრიპტორი 2004 წლიდან დღემდე მოქმედებს, უმაღლეს განათლებაში ხუთ დონიანი ჩაშლაა და არა სამი, ანუ უმაღლეს განათლებაში დაწესებულების მიდგომა უფრო სწორიც კი გამოდის, რადგან უფრო დეტალიზებულია, თუმცა საბოლოოდ ექვსი ეწერება, სამი თუ ხუთი, მთავარია სწავლის შედეგები ადეკვატურად ყოფილიყო გაწერილი, დაწესებულება არ ფიქრობდა და არც ახლა ეგონა, რომ ეს იყო სწავლის შედეგებზე გასვლის დამაბრკოლებელი ფაქტორი, თუმცა გახდა პრინციპული, ჩარჩოში შევიდა ცვლილება და პროგრამაც შესაბამისობაში მოვიდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ არ იყო მნიშვნელოვანი, რატომ შევიდა ცვლილება ჩარჩოში.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ არსებითად არაფერი იცვლება, ძველ ექვსს მოიცავს ახალი სამი, რომ ითქვას ბოლონიის პროცესს გადაესვა ხაზი ახალი ჩარჩოთი, არ იქნება სწორი, არც ევროპაში არავის ცვლილებები არ გაუკეთებია ამ ნაწილში, იგივეა, რაც მანამდე იყო, კომუნიკაციაზეა აქცენტი, დასკვნების გაკეთებაზე და სხვა, დუბლინის დესკრიპტორი არავის შეუცვლია, უბრალოდ გადაწყვიტეს, რომ გაამარტივეს დაწესებულებისთვის რაღაც, თუმცა გამარტივების პროცესში, იმას ვისაც უფრო რთული მოსწონდათ აღმოჩნდა, რომ შეუქმნეს ხელოვნური ბარიერები და მოსთხოვეს გადაკეთება. დაწესებულებას თავიდან რომ შემოეტანა პროგრამა ერთ თვეში, უკვე პროცესი დამთავრებული იქნებოდა, მაგრამ რატომღაც ეგონა, რომ გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, საბჭოს დაუბრუნეს და ა.შ. უკვე მესამე საბჭოა, რომელიც აღნიშნულ საკითხზე მსჯელობს, უკვე პრინციპული მნიშვნელობა აქვს, მისი ღრმა რწმენით ხარისხის მიღწევის კონტექსტში ამით არაფერი ფუჭდება, მთავარია, რომ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის ცვლილება, იყო სამი პრინციპული საკითხი: 180 კრედიტი თუ 60, ერთ-ერთ დასკვნაში ისიც კი დაუწერეს, რომ სადოქტორო პროგრამა 60 კრედიტიანია, რაზეც სთხოვდნენ, რომ შეეცვალათ, რადგან 60 სასწავლო კრედიტია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პროგრამა 60 კრედიტიანია, ასეთი ბევრი ნიუანსია, რამაც მოიყვანა აქამდე. მას მართლა ეგონა, რომ საბჭოს ხარვეზი გაეპარა, რადგან ასეთი ხისტი გადაწყვეტილება მიიღეს, დაწესებულებას სურდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის მიეცა შანსი გამოსწორებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, განაცხადა, რომ 2020 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში კომპონენტი 1.2, რომელიც ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს მეტწილად შესაბამისობით იყო წარმოდგენილი, 2020 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ შესაბამისობად განსაზღვრა, დაინტერესდა მოხდა თუ არა შედეგების შესაბამისი მიმართულებით კორექტირება და დაკორექტირდა თუ არა რეალურად. მიღების წინაპირობების შესახებ განმარტა, რომ შეფასებული იყო, როგორც მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ისევე, როგორც კომპონენტ 2.2-თან დაკავშირებით კანონის 46-ე მუხლთან მიმართებით და შემდგომ საბჭომ ჩათვალა, როგორც არ შეესაბამება მოთხოვნებს, რაც ასევე დაკორექტირდა დაწესებულების მხრიდან, კრედიტების მოცულობა, მიღების წინაპირობა და სხვა. მესამე საკითხი იყო აკადემიური პერსონალის საკითხი, რომელზეც, ასევე, მათი გარკვეულ ბაზებში განთავსებასთან დაკავშირებით იყო რეკომენდაცია, რაც გაიზიარა დაწესებულებამ და 2 წლის მანძილზე მოვიდა თუ არა შესაბამისობაში.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ეგონა სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნავდა, რომ სხვანაირად არ განმარტებულიყო. მან დასძინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ში შევიდა ცვლილება და განმავითარებელი შეფასება აღარ იკრძალება, რადგან მაშინ ძალიან უცნაური სიტუაცია იყო, საუბრობდნენ გარემოებაზე, რომ Impact ფაქტორიან ჟურნალში თუ გამოქვეყნდებოდა მანამდე ეს იყო პრობლემა, რადგან შეფასების ერთჯერადობას საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის შეფასების ნაწილი უკვე მოხსნილია.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ში და პროგრამაში საუბარი იყო, როგორც განმსაზღვრელ შეფასებაზე, ასევე კრედიტების მინიჭებაზე.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ნათქვამი დასძინა, რომ მორატორიუმი ჰქონდათ გამოცხადებული.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტებით შეიცვალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 და თქვა, რომ დაწესებულებას თავად შეუძლია გადაწყვიტოს შეფასების საკითხი, თუმცა ეს კრედიტების დაგროვების მიზნით არ უნდა ხდებოდეს.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ჯერჯერობით კრედიტებზე არაფერია არ წერია, თუმცა შევა ცვლილება და გაჩნდება 180 კრედიტის უფლებამოსილება, შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 აღარ იქნება წინააღმდეგობაში მასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ჯერ არ შესულა ძალაში.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულება არის კანონმორჩილი, იძულებით, მაგრამ იცავს მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ზოგადად იურისტებისგან კანონმორჩილების უფრო მეტი მოლოდინი აქვს.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კანონი არ არის საჭირო, თუ მისი მიზნის საპირისპიროდ განიმარტება, არ მიუღიათ იმიტომ, რომ ხელი შეეშალათ განვითარებისთვის. იგი დაეთანხმა საბჭოს წევრის, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ, დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ესაუბრათ ერთ-ერთი რეკომენდაციის შესახებ - უნდა დაემატოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა, ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება და სხვა, რათა ნათელი გახდეს, რომ უნივერსიტეტი გეგმავს ისე, როგორც პროგრამის სახელწოდებას შეესაბამება. ასევე დაინტერესდა თუ რამდენად მიზანშეწონილია აღნიშნული რეკომენდაცია და ეთანხმება თუ არა დაწესებულება.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა აღნიშნული რჩევა იყო თუ რეკომენდაცია, მან დაადასტურა, რომ მისთვის მისასალმებელია მოსაზრება, რომ მეტი მიმართულებით იღებდნენ სადოქტორო პროგრამაში სტუდენტებს, თუმცა თავდაპირველად როგორც აეწყო პროგრამა, საუბარია სამ ძირითად მიმართულებაზე, რომელთა მიმართულებითაც მიმდინარეობს კვლევა უნივერსიტეტში. მისი მოსაზრებით ძალიან რომანტიკული თემაა ბიო მრავალფეროვნებაში წვლილის შეტანა, უბრალოდ რამდენად ვალდებულებად უნდა აღიქვან, თუმცა გაიზიარა და აღნიშნა, რომ ეკოლოგიაზე ზრუნვა ძალიან კარგია.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, მადლობა გადაუხადა დაწესებულებას რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესში“ნებაყოფლობითი” თუ “იძულებითი კანონმორჩილებისთვის”, მან სთხოვა დაეზუსტებინა და განემარტა სადოქტორო დისერტაციის შეფასების პროცესი და პროცედურები. .
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სადისერტაციო საბჭოს დებულება მაშინაც და ახლაც ითვალისწინებდა პროცედურას, რომლის შესაბამისობაზეც უფრო ნაკლებად იყო კითხვები, რეალურად საუბარია ორ შემფასებელზე, როდესაც დისერტაცია მოწონებულია ხელმძღვანელის მიერ ის გადაეცემა სადისერტაციო კომისიას განსახილველად, საბჭო ნიშნავს ორ შემფასებელს, დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი თუ რა პროცედურას გადის აღნიშნული ორი შემფასებელი და რა გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს, ერთიანი შეფასება მაშინაც იყო და ახლაც არის, მათი შეფასება ერთი მესამედით შედის საერთო შეფასებაში და, შესაბამისად, ერთი მესამედით შედის უშუალოდ დისპუტაციაზე მიღებული გადაწყვეტილება, ანუ არის ორი კომპონენტი: წერითი ნაშრომის შეფასება და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება, მათი ჯამი 100 ქულას იძლევა და უზრუნველყოფილია ერთჯერადი შეფასება, თუმცა პრობლემა უკავშირდებოდა იმ ორ კომპონენტს, რომელიც წინა პროგრამაში ჩვენა, ეს არის Professor Guided Research და Colloquium, ისინი წარმოდგენილი იყო, როგორც დისერტაციის ნაწილი, შესაბამისად დაწესებულება სტუდენტს სთხოვდა Impact ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებას, ახდენდნენ Pair Review-სა და გადამოწმებას. ამ კომპონენტში გაწერილი იყო კრედიტი, რაც აღიქმებოდა პრობლემად, ანუ,

პრობლემა იყო არა ის, რომ ვინმე კითხულობდა, არამედ ის, რომ კრედიტი ენიჭებოდა. შემდეგ გამოაცხადეს მორატორიუმი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რადგან წინასწარ უთხრეს, რომ საბჭო პრობლემურად ხედავდა, შესაბამისად ამ ნაწილზე, კრედიტის არსებობაზე მიდიოდა მსჯელობა, ხომ არ შეიძლება ჩათვლილიყო ერთჯერად შეფასებასთან დაკავშირებულ პრობლემად, თუმცა მას სჯერა, რომ მიზანი იყო არა იმის აკრძალვა, რომ ვინმემ დისერტაცია ნახოს, დაწესებულებას სურდა დაემტკიცებინა, რომ ვინმეს მიერ ნაშრომის წინასწარი ნახვა, კვლევის შედეგებს, რომელსაც აქვეყნებენ, წინასწარი დაცვაც კი ხორციელდება და არ აღიქმება განსაკუთრებულ დარღვევად, დაწესებულება ცდილობდა აეხსნა, რომ შეფასების ერთჯერადობა ნიშნავს დისერტაციის დაწერას და შეფასებას, განსაკუთრებით სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში, რომელსაც განეკუთვნება აღნიშნული პროგრამა, ბევრ ქვეყანაში არსებობს მიდგომა სტატიებში კვალიფიკაციის მინიჭებისა, ანუ თუკი დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სტატია მათ ერთობლიობაში საკმარისად მიიჩნევა კვალიფიკაციის მინიჭება, მან აღიქვა, რომ ჩანაწერი გაკეთდა, რადგან არ უნდოდათ საქართველოშიც ასე მომხდარიყო, დისერტაცია აუცილებლად დაწერილიყო, როგორც ერთიანი დოკუმენტი და დაცულიყო, მისი მოსაზრებით ეს ბევრ ქვეყანაში მუშაობს და სტატიაში ხარისხის მინიჭება მისაღებ ფორმად ითვლება, თუმცა, რადგან სახელმწიფოს აზრით, ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა და არ უნდათ რომ მოხდეს, უნდა დაიწეროს დისერტაცია და შეფასდეს, სწორედ ეს ჰქონდათ წარმოდგენილი, მხოლოდ წინასწარ გამოქვეყნებული სტატიებში, როგროც კვლევით კომპონენტში, ანიჭებდნენ კრედიტს.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, განაცხადა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია წინაპირობებთან დაკავშირებით, დაინტერესდა უზრუნველყოფილია თუ არა სადოქტორო საფეხურზე სტუდენტების მიღება კომისიური წესით, რაც გასაუბრებას მოიაზრებს, თუ ეს ასე აქვთ, იყო ჩანაწერი, რომ შეიძლება მიიღონ მაგისტრის ხარისხის ისეთი სტუდენტები, რომლებმაც არ იციან ბიოლოგია, დაინტერესდა თუ ჰქონდათ გასაუბრება და დაშვების წინაპირობები ითვალისწინებდა თუ არა ამ აპლიკანტების გამოცდილების/შესაძლებლობების შეფასებას და როგორ ახორციელებდნენ აღნიშნულს. ასევე, დაინტერესდა, სადისერტაციო საბჭოს დებულების შესახებ, სადაც წერია - „სადისერტაციო საბჭო ნიშნავს სადისერტაციო კომისიას მინიმუმ სამი წევრის შემადგენლობით, რომელშიც შედიან შემფასებლები, კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი“, რაც სამი წევრი გამოვიდა, დაინტერესდა უშვებს თუ არა დაწესებულება შესაძლებლობას, რომ კომისია მხოლოდ ამ სამი წევრისგან წარმომადგენლობით შეიძლება იყოს დაშვებული.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობებში გასაუბრებაც იდო, თუმცა პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესა თუ ჰქონდათ გაწერილი და როგორ შეეძლოთ გასაუბრების დროს კვალიფიკაციის დადგენა.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ არამხოლოდ გასაუბრებაა წინაპირობა, არამედ აპლიკანტს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს კონცეფცია, საუბარია სადისერტაციო კვლევის მონახაზსა და გასაუბრებაზე, როგორც თავდაპირველ, ასევე ახალ ვერსიაში. ის რაც საბჭოს წევრმა წაიკითხა იგულისხმებოდა, თუ მათემატიკით მიიღებდნენ, იქ შედარებით რთული იქნებოდა კვლევის გეგმით და გასაუბრებით დაედგინათ შეძლებდა თუ არა აპლიკანტი შედეგზე გასვლას. თავის დროზე ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ მათემატიკოსს შეეძლო კვლევის ნიუანსების გათვალისწინებით, რადგან ამჟამად ფასობს ინტერდისციპლინურობა, შესაძლებელია უფრო ღირებულიც კი იყოს. პროგრამებზე მოთხოვნა ძალიან დიდია, კეთდება საინტერესო კვლევები. შესაბამისად, დაწესებულებას ექნებოდა ძალიან დიდი არჩევანი, რათა საუკეთესო კვლევითი პროექტები შეერჩიათ. თუკი ადამიანმა, რომელიც არის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე, წარმოადგინა ინტერდისციპლინარული აქცენტებით საინტერესო კვლევა, საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება რელევანტურობის

შესახებ, ახასიათებს სიახლეები და შესაძლებელია წვლილი შეიტანოს მეცნიერების განვითარებაში, ამ შემთხვევაში და ყველა დარწმუნდა ამაში, მისთვის წარმოუდგენელია განსაკუთრებით დისკომფორტული იყოს მისი წინა კვალიფიკაცია.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა ადასტურებდა თუ არა დაწესებულება, რომ გასაუბრების დროს მისი კვალიფიკაციის დადგენა თუ რამდენად კვალიფიციურია ბიოლოგიის/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ამის დადგენა შესაძლებელია.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ როდესაც აპლიკანტი წარმოადგენს კვლევით პროექტს, მათ შორის, მიზანს, მეთოდებს, კვლევის სავარაუდო შედეგებს და თუ ეს ყველაფერი იქნება გენიალური, ან აქცენტი ჰქონდეს გენიალურობაზე, რადგან სამყარო უნდა შეცვალოს გენიალურობისკენ, ამით შესაძლებელია დდაგინდეს თუ რამდენად ფლობს აპლიკანტი შესაბამის მიმართულებას, რეალურად როდესაც დოქტორანტების წინასწარ შეფასებას ახდენენ, ყურადღებას ამახვილებენ ორ ძირითად მიმართულებაზე: 1. Competitive Advantage - რატომ დაწერს კონკრეტული აპლიკანტი ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაშრომს და რატომ ის. რადგან ხშირად დაშვებული შეცდომაა, რომ იღებენ თემებს, რაც მათ აინტერესებთ, თუმცა არ აქვთ დიდი გამოცდილება იმ კონკრეტული საკითხის კვლევაში, რაც ნიშნავს, რომ ჯერ უნდა დაეწიონ არსებულ ცოდნას და შემდეგ გააფართოვონ ის, ასეთი შემთხვევები იბლოკება და სთხოვენ უკეთ მოემზადონ შემდეგი გასაუბრებისთვის, რადგან მისი ჩართვა სადოქტორო პროგრამაში ნიშნავს მისსავე დროის დანახარჯს და ზრდის რისკს, რომ ვერ იქნება წარმატებული, საქართველოში განსაკუთრებით მტკივნეულად ჩანს დოქტორანტების რაოდენობა, რომლებიც კვლევებში წინ წასვლას ვეღარ ახერხებენ. ამიტომ მათ უხდებათ რთული სელექციის პროცესის გადალახვა წინასწარ. სადისერტაციო კომისიის შესახებ მან განაცხადა, რომ ინიშნება მინიმუმ ორი შემფასებელი, „მინიმუმ“ გაწერილია, რადგან შესაძლებელია სამი შემფასებელი გახდეს საჭირო, განმარტა, რომ გადმოტანილია გერმანული მიდგომა, რომელიც საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. თუ აღნიშნული ორი შემფასებლის შეფასება 2 ერთეულით ცდება, ინიშნება მესამე შეფასება, დისპუტაციაზე ესწრება ყველა და, შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით შედის ხელმძღვანელი, სამ წევრს აქვს ხმის უფლება, თავმჯდომარე ნეიტრალური და 2 შემფასებელი, ასევე კიდევ ერთი ადამიანი სათათბირო ხმის უფლებით, დაესწრება სხდომას ხელმძღვანელი, ვინაიდან მან უფლება დართო ნაშრომს დაცვაზე გასასვლელად შეფასებაში მისი როლი აღარ არის, შეუძლია მხოლოდ განმარტება გააკეთოს, იგივე პროცედურაა სხვა სადოქტორო პროგრამებზეც, რომლებიც მუშაობს და კარგად ამართლებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:00
დასრულების დრო: 19:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა 2020 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის 1 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 2

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა 2020 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებთან;
2. ვინაიდან პროგრამაზე მიიღებიან ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის მაგისტრები, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ მე-6 ან მე-7 საკვალიფიკაციო დონის არცერთი კრედიტი სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი კანდიდატი, რომ მან შეძლოს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევა;
3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან; კვლევითი კომპონენტის კრედიტებში გაზომვა ვერ მოხდება და უნდა მიემართებოდეს წლების ხანგრძლივობას;
4. სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტების საგანში აქცენტები კეთდება ნეირომეცნიერებებზე, მიკრობიოლოგიასა და გენეტიკაზე, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სახელთან და მოიცვას „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნირებების“ სხვა დარგებიც; პროგრამაში დაემატოს 2-3 სწავლის სფეროს შესაბამისი ძირითადი საგანი;
5. საჭიროა არჩევითი საგნების შემოტანა, რომელიც სტუდენტს დაეხმარება გარკვეული კომპეტენციებისა და ცოდნის შეძენაში, შესაბამისად კრედიტების გადანაწილება გადასახედია;
6. უნდა დაემატოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა, ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება და სხვა, რათა ნათელი გახდეს, რომ უნივერსიტეტი ფიქრობს და გეგმავს ისე, როგორც პროგრამის სახელწოდებაა;
7. განახლდეს აკადემიური პერსონალის CV–ები, რადგან ზოგიერთი პერსონალის CV-ში არ ჩანს მათი ბოლოდროინდელი სამეცნიერო აქტივობები;
8. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არა აქვთ გამოქვეყნებული სტატიები რეიტინგულ ჟურნალებში;
9. პროგრამაში მონაწილე პერსონალის მონაცემები უნდა იძებნებოდეს QMS ელექტრონულ ბაზაში უნივერსიტეტის ჩანაწერებში (ამ ბაზაში სისტემატიზირდება დაწესებულებების პერსონალის მონაცემები და მონაცემები აიღება შეფასების პროცესის განხორციელებისას).

რჩევები:

1. ვინაიდან პროგრამაზე მიიღებიან ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის მაგისტრები, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ მე-6 ან მე-7 საკვალიფიკაციო დონის არცერთი კრედიტი სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი კანდიდატი, რომ მან შეძლოს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის

„გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 29 მარტის 19:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით